ისტორია

დარგობრივი დოკუმენტი - სამუშაო ვარიანტი

I. სფეროს აღწერა

ისტორია წარსულს შეისწავლის მის მრავალფეროვან გამოვლინებებში დასაბამიდან დღემდე. ის შეისწავლის წარსულს მრავალი კუთხით: პოლიტიკურ მოვლენებს, სამხედრო მოქმედებებს, საზოგადოებრივ ცხოვრებას, ეკონომიკურ, სოციალურ და სამართლებრივ ასპექტებს, კულტურულ მემკვიდრეობას, მეცნიერების მიღწევებს და ა.შ. ისტორიის სწავლებად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საზოგადოების ცხოვრებისთვის, რადგან მისი მეშვეობით ყალიბდება ადამიანში ნამდვილი მოქალაქე, აღჭურვილი ანალიტიკური, კრიტიკული და კომუნიკაციური უნარებით, რაც მნიშვნელოვანია ცოდნაზე დაფუძნებული თანამედროვე საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის.

ბაკალავრიატში ისტორიის სწავლების მიზანს ზოგადად წარმოადგენს:
- სტუდენტს ჩამოუყალიბდეს მოვლენების ისტორიული ხედვის და კრიტიკული გააზრების უნარი როგორც ნაციონალური, ასევე მსოფლიო ისტორიის კონტექსტში;
- სტუდენტს ჩამოუყალიბდეს საქართველოს ისტორიის ცოდნა კავკასიის რეგიონთან და იმ ცივილიზაციებთან მიმართებით, რომლებთანაც ის ისტორიულად იყო დაკავშირებული;
- სამოქალაქო ცნობიერების, სოციალური ერთიანობის, ნაცონალური, კულტურული და რეგიონალური იდენტობის ფორმირების ხელშეწყობა;
- კულტურული და მსოფლმხედველობრივი მრავალფეროვნების გააზრება და პატივისცემა.

ისტორიის საგანმანათლებლო პროგრამებმა ხელი უნდა შეუწყონ, როგორც ისტორიის ზოგადი ცოდნის და ბაკალავრისთვის აუცილებელი ფართო დარგობრივი კომპეტენციების, ასევე ზოგადი კომპეტენციების განვითარებას. ისტორიის სწავლებისას აუცილებელი ძირითადი კომპეტენციები ჩამოყალიბებულია სწავლის შედეგებში.

დასაქმების სფეროები

ისტორიის ბაკალავრის ხარისხის მქონეებმა შეიძლება დაიკავონ პოზიციები ისეთ სფეროებში როგორიცაა: არქივი, ბიბლიოთეკა, მუზეუმი, გამომცემლობა, ტურიზმი, მასმედია, დამხმარე ფუნქცია სამეცნიერო-კვლევით ცენტრებში, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება (არააკადემიური თანამდებობები), კერძო სექტორი.

II. საგანმანათლებლო პროგრამის პროფილი და კვალიფიკაცია

აღნიშნულ დარგში ბაკალავრის საგანმანათლებლო პროგრამა თეორიული/კვლევითია, რაც არ გულისხმობს პრაქტიკის არარსებობას. პრაქტიკის მოდულის ჩართვა ხელს უწყობს ბაკალავრების მომავალ დასაქმებას და სძენს მათ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარს. ისტორიის საბაკალავრო პროგრამა შეიძლება, სრულდებოდეს საბაკალავრო ნაშრომით თუ უნივერსიტეტს სხვაგვარად არა აქვს ეს რეგულირებული.

ისტორიის ძირითადი სპეციალობის პროგრამის დასრულების შემდეგ უნივერსიტეტს შეუძლია, კურსდამთავრებულს მიანიჭოს - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრის ხარისხი ისტორიის მითითებით.

ისტორია შეიძლება, ისწავლებოდეს, როგორც ძირითადი (120 კრედირის მოცულობით) ან მეორადი სპეციალობა (60 კრედიტის მოცულობით), ასევე ერთ-ერთ სავალდებულო, სავალდებულო-არჩევით ან არჩევით საგნად სხვა სპეციალობებისთვის. უნივერსიტეტები თავად წყვეტენ ისტორიის ძირითად და არაძირითად პროგრამებთან დაწყვილების შესაძლებლობებს. უნივერსიტეტის მისიიდან გამომდინარე, ამ მხრივ შეიძლება არსებობდეს შეზღუდვები ან სტუდენტებს თავისუფლად შეეძლოთ ისტორიის ნებისმიერ სხვა სპეციალობასთან დაწყვილება.

III. სწავლის შედეგები

1. დარგობრივი კომპეტენციები:

1.1. დარგობრივი ცოდნა და გაცნობიერება

- კაცობრიობის წარსულის კრიტიკული გააზრება და აწმყოსა და მომავალზე წარსულის გავლენის გაგება;
- წარსულის ზოგადი დიაქრონული ჩარჩოს ცოდნა (საქართველოს და მსოფლიო ისტორიის);
- საქართველოსა და მსოფლიო ისტორიის ერთ-ერთი ეტაპის ან დიაქრონული მოვლენის სპეციალური ცოდნა (თუ ისტორია ძირითადი სპეციალობაა, სულ მცირე ორი ფართო ქრონოლოგიური პერიოდის საკითხების, საშუალებებისა და მეთოდოლოგიის ზოგადი ცოდნა, ისევე როგორც ზოგიერთი მნიშვნელოვანი დიაქრონული თემების ცოდნა);
- სხვადასხვა სახის ისტორიული კვლევის, მიდგომებისა და მეთოდების ცოდნა;
- სხვადასხვა ქვეყნისა და კულტურის ღირებულებების და თავისებურებების ცოდნა და პატივისცემა.

1.2. დარგობრივი ცოდნის გამოყენება/პრაქტიკული უნარები

- მშობლიურ ენაზე გამართული კომუნიკაცია ისტორიოგრაფიისათვის სახასიათო ტექნიკისა და ტერმინოლოგიის გამოყენებით (წერილობითი და ზეპირი);
- სხვადასხვა სახის ისტორიული კვლევის, მიდგომებისა და მეთოდების გამოყენების უნარი ;
- ზეპირად და წერილობით ფორმით საშუალო მოცულობის კვლევის წარმოდგენა, რომლეშიც აისახება ბიბლიოგრაფიული ინფორმაციის, პირველადი წყაროების ფლობა და მათი გამოყენების უნარი ისტორიოგრაფიული პრობლემის გადასაწყვეტად;
- ისტორიოგრაფიული ტექსტების და წყაროების კითხვის უნარი საკუთარ და რომელიმე უცხო ენაზე;

2. ზოგადი კომპეტენციები:

- აბსტრაქტული აზროვნების, ანალიზისა და სინთეზის უნარს;
- პრობლემების იდენტიფიცირების, დასმისა და გადაწყვეტის უნარს;
- სწავლის და ცოდნის მუდმივი განახლების უნარს;
- არჩეული პროფესიის გათავისებას და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარს;
- კრიტიკული აზროვნებისა და თვითკრიტიკის უნარს;

- მშობლიურ ენაზე ზეპირი და წერილობითი ფორმით სტრუქტურირებული კომუნიკაციის უნარს;
- სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოძიების, დამუშავებისა და ანალიზის უნარს;
- განსხვავებული აზრების პატივისცემას და ჯგუფში მუშაობის უნარს.

IV. სწავლა, სწავლება და შეფასება

სწავლებისა და სწავლის მეთოდები უნდა შეესაბამებოდეს წინასწარ განსაზღვრულ სწავლის შედეგებს. დოკუმენტი მიზნად არ ისახავს ყველა შესაძლო მეთოდის ჩამოთვლას. ზოგადი მოთხოვნა შეიძლება იყოს მხოლოდ, რომ

- ზემოთ ჩამოთვლილი და საუნივერსიტეტო პროგრამით განსაზღვრული შედეგების მისაღწევად, უნივერსიტეტმა სტუდენტს უნდა შესთავაზოს სწავლისა და სწავლების სხვადასხვა მიდგომა, რაც ხელს შეუწყობს განსხვავებული კომპეტენციების ჩამოყალიბებას.
- ისტორიის სწავლება არ უნდა არსებობდეს კვლევისგან დამოუკიდებლად:

ბაკალავრიატის დონეზეც სტუდენტს უნდა ჰქონდეს პირდაპირი შეხება თუნდაც შეზღუდული რაოდენობის ორიგინალურ დოკუმენტებთან და ისტორიოგრაფიულ ნაშრომებთან.
ტრადიციული ლექციების კვალდაკვალ გამოყენებულ უნდა იქნეს პრაქტიკული მეცადინეობები, სემინარები, პროექტები და სწავლების სხვა აქტიური მეთოდები. ამ მხრივ მრავალი სასარგებლო გამოცდილება არსებობს: მაგ; ანალიზისა და სინთეზის უნარის გასავითარებლად შესაძლებელია ისტორიოგრაფიული პრობლემის გამოსაკვეთად ლექციებზე სიტუაციური ანალიზი ისტორიოგრაფიული ნაშრომების ან ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიების გამოყენებით; ტრადიციული ლექციების გვერდით ფართოდ გამოიყნება სემინარები, სადაც სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა, დაწერონ წყაროს კრიტიკული ანალიზი და ამის შემდეგ გააკეთონ პრეზენტაცია, ხოლო სხვა სტუდენტს/ებს ეძლევა ოპონენტობის შესაძლებლობა. სემინარი ერთდროულად რამდენიმე უნარს უვითარებს: 1. კრიტიკული აზროვნების უნარს, 2. საკუთარი ღირებულებების, გამოცდილებისა და პერსპექტივების კრიტიკული გააზრების უნარი 3. სხვადასხვა სახის ისტორიული კვლევის, მიდგომებისა და მეთოდების ცოდნას და უნარს, ზეპირად და წერილობით წარმოადგინოს საშუალო მოცულობის კვლევა, რომელშიც აისახება ბიბლიოგრაფიული ინფორმაციის, პირველადი წყაროების ფლობა და მათი გამოყენების უნარი ისტორიოგრაფიული პრობლემის გადასაწყვეტად და სხვა. ჯგუფური მუშაობის და სხვისი აზრების პატივისცემის უნარი შეიძლება განუვითარდეთ ჯგუფური პროექტების საშუალებით სწავლისას. კომუნიკაციის უნარების, წყაროების მოპოვებისა და კრიტიკული შერჩევის, დამოუკიდებლად მუშაობის უნარის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია საინფორმაციო ტექნოლოგიების ჩართვა ისტორიის სწავლებისას.

ისტორიის ევროპულმა ჯგუფმა შეიმუშავა სწავლების მასალები, რომლებიც განთავსებულია გვერდზე CliohNet და სასარგებლო იქნებოდა მათი გამოყენება.

სწავლების მეთოდების მრავალფეროვნებასთან ერთად დიდი მნიშვნელობა ენიჭება შეფასების მეთოდების მრავალგვარობასაც. შეფასების მრავალგვარი მეთოდი უნდა იყოს გამოყენებული მთელი კურსის განმავლობაში და უნდა შეესაბამებოდეს სწავლის შედეგებს: იმისთვის, რომ გავიგოთ, მიღწეულია თუ არა ესა თუ ის სწავლის შედეგი, უნდა შეგვეძლოს მისი გაზომვა. ასე მაგალითად, კვლევითი უნარების მიღწევის დონის შესამოწმებლად, წერილობითი კომუნიკაციის, ანალიზის და კრიტიკული აზროვნების უნარის შესაფასებლად

რეკომენდებულია წერითი ნამუშევრის მიხედვით შეფასება. ზეპირი პრეზენტაციებით შეფასება წარმოდგენას გვიქმნის დისკუსიის წარმართვის, ზეპირი კომუნიკაციის, კრიტიკული აზროვნების, სხვათა აზრის გათვალისწინების და დაფასების უნარის შესახებ. შეფასება უნდა იყოს, როგორც შემაჯამებელი ხასიათის, ასევე მაფორმირებელი (უკუკავშირის მიმცემი).

დარგობრივი დოკუმენტი შემუშავდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საუნივერსიტეტო კურიკულუმის განვითარების პროგრამის ფარგლებში. მას საფუძვლად დაედო თუნინგის კომპეტენციების კითხვარების საფუძველზე დაინტერესებულ მხარეებთან გამართული კონსულტაციები. წინამდებარე დოკუმენტის შემუშავებაში მონაწილეობდნენ:

1. ქეთევან გურჩიანი- ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი
2. ნინო ჭიჭინაძე -ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი
3. გურამ ყიფიანი - ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი
4. თეიმურაზ პაპასკირი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
5. თედო დუნდუა - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
6. დავით გეგეჭკორი- აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
7. ანი კლდიაშვილი - სახელმწიფო სამხატვრო აკადემია
8. ნინო ღაღანიძე - სახელმწიფო სამხატვრო აკადემია